

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ
თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები
მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
შემოსავლები	165 534,3	140 463,7	144 325,0
გადასახადები	133 750,9	129 000,0	140 000,0
გრანტები	21 146,8	2 500,0	0,0
სხვა შემოსავლები	10 636,7	8 963,7	4 325,0
ხარჯები	117 347,7	136 545,4	124 802,2
შრომის ანაზღაურება	16 878,2	36 538,4	35 872,8
საქონელი და მომსახურება	15 692,4	21 574,9	22 016,3
პროცენტი	251,5	277,6	439,2
სუბსიდიები	26 883,1	2 411,1	4 531,5
გრანტები (გაცემული)	33 995,2	44 052,0	30 075,0
სოციალური უზრუნველყოფა	5 370,5	5 877,0	5 781,8
სხვა ხარჯები	18 276,8	25 814,4	26 085,6
საოპერაციო სალდო	48 186,6	3 918,3	19 522,8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	18 804,2	24 357,0	38 850,9
ზრდა (შემენა)	21 778,0	29 591,5	48 850,9
კლება (გაყიდვა)	2 973,8	5 234,5	10 000,0
მთლიანი სალდო	29 382,3	-20 438,6	-19 328,1
ფინანსური აქტივების ცვლილება	26 791,7	-21 542,0	-21 000,0
ზრდა	26 848,4	0,0	0,0
ვალუტა, დეპოზიტები	26 848,4		
სესხები	0,0	0,0	0,0
კლება	56,7	21 542,0	21 000,0
ვალუტა, დეპოზიტები	56,7	21 542,0	21 000,0
სესხები			
ვალდებულებების ცვლილება	-2 590,6	-1 103,4	-1 671,9
ზრდა	0,0	0,0	0,0



სესხები			
კლება	2 590,6	1 103,4	1 671,9
სესხები			1 671,9
ბალანსი	0,0	0,0	0,0

2. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
შემოსულობები	168 508,1	145 698,2	154 325,0
შემოსავლები	165 534,3	140 463,7	144 325,0
არაფინანსური აქტივების კლება	2 973,8	5 234,5	10 000,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	141 716,3	167 240,2	175 325,0
ხარჯები	117 347,7	136 545,4	124 802,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	21 778,0	29 591,5	48 850,9
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	2 590,6	1 103,4	1 671,9
ნაშთის ცვლილება	26 791,7	-21 542,0	-21 000,0

თავი II

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 144325.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
შემოსავლები	165 534,4	140 463,7	144 325,0
გადასახადები	133 750,9	129 000,0	140 000,0
გრანტები	21 146,8	2 500,0	0,0
სხვა შემოსავლები	10 636,7	8 963,7	4 325,0

მუხლი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები 140000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)



კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
11	გადასახადები	133 750,9	129 000,0	140 000,0
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	133 750,9	129 000,0	140 000,0
1111	ფიზიკური პირებიდან	133 750,9	129 000,0	140 000,0
11111	საშემოსავლო გადასახადი	133 750,9	129 000,0	140 000,0

მუხლი 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
13	გრანტები	21 146,8	2 500,0	0,0
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	21 146,8	2 500,0	0,0
1331	მიმდინარე დანიშნულები გრანტები	21 146,8	2 500,0	

მუხლი 5. ჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 4325.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	10 636,7	8 963,7	4 325,0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	8 524,5	7 161,0	3 925,0
1411	პროცენტები	5 689,3	5 600,0	1 600,0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	5 689,3	5 600,0	1 600,0
1412	დივიდენდები	1 310,5	1 000,0	1 200,0
14121	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები	1 310,5	1 000,0	1 200,0
1415	რენტა	1 524,7	561,0	1 125,0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	85,4	200,0	425,0
14155	სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები	1 439,3	361,0	700,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	568,3	401,2	300,0



1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	51,2	46,2	0,0
14222	სალიცენზიო მოსაკრებლები	14,0	16,2	
14223	სანებართვო მოსაკრებლები	36,3	30,0	
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,9		
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	517,1	355,0	300,0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	517,1	355,0	300,0
1423209	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	517,1	355,0	300,0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	111,2	90,0	100,0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1 432,7	1 311,5	0,0
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1 432,7	1 311,5	

თავი III

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები 124802.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
ხარჯები	117 347,7	136 545,4	124 802,2
შრომის ანაზღაურება	16 878,2	36 538,4	35 872,8
საქონელი და მომსახურება	15 692,4	21 574,9	22 016,3
პროცენტი	251,5	277,6	439,2
სუბსიდიები	26 883,1	2 411,1	4 531,5
გრანტები (გაცემული)	33 995,2	44 052,0	30 075,0
სოციალური უზრუნველყოფა	5 370,5	5 877,0	5 781,8
სხვა ხარჯები	18 276,8	25 814,4	26 085,6

მუხლი 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 38850.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 48851.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)



კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
101	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	119,8	154,5	75,0
102	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	0,0	0,0	0,0
103	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	12 633,6	16 436,7	20 726,4
104	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	4 266,4	7 213,0	24 320,8
106	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2 770,6	3 267,5	1 759,8
107	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	16,0	202,1	282,7
108	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	1 555,4	935,6	787,6
109	უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	416,3	460,0	100,0
110	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	0,0	922,1	798,7
სულ		21 778,1	29 591,5	48 851,0

ბ) განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	2 973,8	5 234,5	10 000,0
311	ძირითადი აქტივები	1 066,2	1 163,3	900,0
312	მატერიალური მარაგები		975,0	1 100,0
314	არამწარმოებლური აქტივები	1 907,6	3 096,2	8 000,0

მუხლი 8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 173653.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)



კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	55 842,7	65 901,9	70 084,5
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	19 406,1	19 282,3	37 217,7
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	7 663,3	9 136,8	8 803,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	11 741,7	10 124,5	28 403,9
70113	საგარეო ურთიერთობები	1,1	21,0	10,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	1 614,0	1 707,5	1 770,1
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	251,5	277,6	439,2
7017	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის	33 995,2	44 052,0	30 075,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	575,9	582,5	582,5
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1 738,9	2 235,7	1 959,5
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	1 738,9	2 235,7	1 959,5
704	ეკონომიკური საქმიანობა	28 054,1	40 770,4	42 011,1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	5 216,1	6 603,3	7 543,3
70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავადებების საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	2 152,0	3 601,0	3 729,6
70422	სატყეო მეურნეობა	3 064,1	3 002,3	3 813,7
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0,0	0,0	0,0
70443	მშენებლობა			
7045	ტრანსპორტი	15 464,4	26 348,8	25 189,3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი	15 424,5	20 556,8	25 189,3
70452	საზღვაო ტრანსპორტი	39,9	5 792,0	0,0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	6 176,1	6 551,4	8 327,1
70473	ტურიზმი	2 581,6	3 764,9	4 839,0
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	3 594,5	2 786,5	3 488,1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ სფეროში	1 197,5	1 266,9	951,4
705	გარემოს დაცვა	2 073,0	2 382,1	1 125,5
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	930,9	1 294,8	43,5
7056	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები გარემოს დაცვის სფეროში	1 142,1	1 087,3	1 082,0
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2 563,7	3 742,6	4 000,0
7061	ბინათმშენებლობა	2 563,7	3 742,6	4 000,0



707	ჯანმრთელობის დაცვა	7 200,8	7 976,3	8 073,7
7072	ამბულატორიული მომსახურება	976,7	2 219,7	1 945,7
7073	საავადმყოფოების მომსახურება	3 667,5	2 658,0	2 715,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	629,0	754,1	1 008,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 927,6	2 344,5	2 405,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	23 850,6	23 942,1	24 331,2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	6 521,8	8 872,4	9 622,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	10 352,7	11 572,1	11 090,5
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	4 929,5	230,0	200,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	102,0	122,0	122,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	1 944,6	3 145,6	3 296,7
709	განათლება	17 333,2	18 322,3	21 152,4
7092	ზოგადი განათლება	804,5	894,9	935,9
7094	უმაღლესი განათლება	3 305,5	2 841,1	2 350,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	13 223,2	14 586,3	17 866,5
710	სოციალური დაცვა	469,0	863,4	915,1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	112,5	154,5	185,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	29,0	58,0	70,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	38,0	152,9	160,1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	289,5	498,0	500,0
სულ		139 126,0	166 136,8	173 653,0

თავი IV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-19328.1) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 21000.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	26 848,4	0,0	0,0



ზრდა	26 848,4	0,0	0,0
ვალუტა, დეპოზიტები	26 848,4	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 21000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	56,7	21 542,0	21 000,0
კლება	56,7	21 542,0	21 000,0
ვალუტა, დეპოზიტები	56,7	21 542,0	21 000,0
სესხები	0,0	0,0	0,0

მუხლი 11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 1671.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებათა კლება 1671.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათასი ლარი)

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა	2015 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	2 590,6	1 103,4	1 671,9
კლება	2 590,6	1 103,4	1 671,9
სესხები			1 671,9

თავი V

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1 წარმომადგენლობითი საქმიანობის მხარდაჭერა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება, ვინაიდან იგი არის რეგიონის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი, საკანონმდებლო და მაცონტროლებელი ფუნქციების მქონე ხელისუფლების შტო.

პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების მეშვეობით რეგიონში ხორციელდება ქვეყნის მიერ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა, სამოქალაქო პლურალიზმის ხელშეწყობა და საარჩევნო სისტემის განვითარება.



1.1 საკანონმდებლო საქმიანობა

კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.

საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

1.2 საარჩევნო სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება

საარჩევნო პროცესისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

სამოქალაქო განვითარებასა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტების წახალისება.

ამომრჩევლების ნების გადრმავევა და დაინტერესება არჩევნების მიმართ.

ამომრჩეველთა აქტიურობის გაზრდა და დაინტერესება არჩევნებში მონაწილეობის მიზნით.

ამომრჩევლებისათვის სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება.

სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროგრამების შექმნა შემუშავება.

2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

რეგიონის ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

2.1 მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება;

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;

მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება. მთავრობის თავმჯდომარის ურთიერთობის ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებთან.

3 რეგიონის ფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს. ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა. რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა და პრივატიზაცია. რეგიონის სივრცითი, ქალაქმშენებლობითი და დაგეგმარების პროექტების შედგენა. დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა. ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა. საფრთხის შემცველი ობიექტების მონიტორინგი და მართვა.

3.1 ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

ავტონომიურ რესპუბლიკაში სამშენებლო საქმიანობის პოლიტიკის განხორციელება; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტების შემუშავების პროცესის წარმართვა.

3.2 რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

რეგიონის საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის სრულყოფა.

აჭარის რეგიონისა და მისი საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი.

ეკონომიკური ობსერვატორიის სამუშაო ჯგუფის შექმნა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა.

3.2.1 რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის გაზრდა.

რეგიონისა და მისი საინვესტიციო პოტენციალის შესახებ საპრომოუშენო მასალების მომზადება. საერთაშორისო საინვესტიციო/ბიზნეს ფორუმებზე, ტურებზე, რეგიონის მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი საინვესტიციო პოტენციალის წარდგენა, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ სარეკლამო რგოლის დამზადება.

3.2.2 ეკონომიკური ობსერვატორია

ეკონომიკური ობსერვატორიის სამუშაო ჯგუფის შექმნა.

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ პოლონეთის დახმარების (Polish Aid) გრანტის ფარგლებში, მალოპოლსკას რეგიონის ადმინისტრაციის სპეციალისტებისა და ექსპერტებისგან მიიღო ეკონომიკური ობსერვატორიების ფუნქციონირების შესახებ ცოდნა და გამოცდილება. შესწავლილი იქნა აჭარის რეგიონში ობსერვატორიის შექმნის საჭიროებები და აუცილებლობა. ეკონომიკური ობსერვატორიის მთავარი მიზანია ეკონომიკური კვლევებისა და ანალიზის წარმოება, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების მონიტორინგი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე ეფექტური ექსპერტულ-ანალიტიკური დახმარების გაწევა რეგიონის მთავრობისათვის. ობსერვატორიის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების აგრეგაციას და რეგიონის შესახებ არსებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის დეფიციტის შემცირებას.

პოლონურ მხარესთან თანამშრომლობით, 2015 წლიდან ამოქმედდება ეკონომიკური ობსერვატორის ვებ-გვერდი და მოხდება მისი მართვა აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ. ვებ-გვერდის საშუალებით შესაძლებელი იქნება ანალიტიკური ინფორმაციის უფრო სწრაფი ხელმისაწვდომობა სხვადასხვა წყაროებიდან, კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე დამუშავებული და დახარისხებული ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის აჭარის რეგიონის ეკონომიკისა და შრომის ბაზრის საკითხებთან დაკავშირებით.

სტატისტიკური და მარკეტინგული ინფორმაციის ნაკლებობა, ეკონომიკური ანალიზისა და რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისათვის, განაპირობებს გადაწყვეტილების მიღებაზე ორიენტირებული გამოყენებითი კვლევების (Policy-oriented applied researches) ჩატარების აუცილებლობას. ობსერვატორიის, როგორც ცალკე ორგანიზაციული ერთეულის, შექმნამდე საჭიროა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება არსებული ინფორმაციის სინთეზი და ეკონომიკური კონიუნქტურის კვლევების ჩატარება. სამუშაო ჯგუფი კვლევებს ჩაატარებს როგორც საკუთარი ძალებით, ასევე საკონსულტაციო კომპანიების დახმარებით. კვლევები ძირითადად შეეხება ეკონომიკურ კონიუნქტურას და შესაძლებელია მოიცვას შემდეგი მიმართულებები: ეკონომიკის სექტორები (მრეწველობა, ტურიზმი, მშენებლობა და სხვა), მცირე და საშუალო ბიზნესი, საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესები, შრომის ბაზარი, ექსპორტი/იმპორტი და სხვა.



ქვეპროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, მოხდება სამუშაო ჯგუფის (3 ექსპერტს + 1 IT სპეციალისტი) ფორმირება, რომელიც შეისწავლის რეგიონის ეკონომიკის სრულფასოვანი ანალიზისათვის ინფორმაციულ საჭიროებებს, წარმოადგენს მის სამუშაო გეგმას და განსაზღვრავს ეკონომიკური კვლევების ძირითად მიმართულებებს.

3.2.3 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა.

აჭარის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო და აჭარის საკუთრებაში არსებული აქტივების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენა; მიწის ნაკვეთების აგეგმვის სავსე და კამერალური სამუშაოების შესყიდვა; შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შესყიდვა; ქონების თვითნებურად დაკავების ფაქტების აღმოფხვრა-შემცირება და ქონების განთავსების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო ან აჭარის საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრო ენერჯით მომარაგება; ქონების ეფექტურად მართვისა და განკარგვის მიზნით ელექტრონული ვებპროგრამის შექმნა.

3.3 ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიების შემდგომი გამოყენების დადგენა, საკურორტო-სარეკრეაციო ადგილებისა და ტერიტორიების ურბანული განვითარება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიების სივრცითი მოწყობის, საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების დაგეგმვისა და ტერიტორიების ურბანული განვითარების დოკუმენტის შედგენა.

3.4 სახაზინო მომსახურება

ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა.

ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შემოსულობების და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა.

ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება.

3.5 დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა

ინკუბირებული კომპანიების საქმიანობის ხელშეწყობა-მონიტორინგი და ბიზნესის განვითარებითვის საჭირო სერვისების და რესურსების მიწოდება.

3.6 ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრების ინტერესების დაცვა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში.

სერვისების დახვეწა, ბიზნესმენებისა და ინვესტორების საქმიანობისათვის ხელშეწყობა.

აჭარის რეგიონის ბიზნეს გარემოს გააუმჯობესება.

3.7 საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა

საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური დიაგნოსტიკების ჩატარება, სამშენებლო მასალებსა და პროდუქციაზე გამოცდების ჩატარება.



ოპერატიული დიაგნოსტიკების მონაცემებით საექსპლუატაციო-ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზი; ობიექტის შემოწმება ურღვევი მეთოდით - (ვიზუალურ გაზომვითი მეთოდი, ძირითადი მეტალისა და შენადული ნაკერების დეფექტოსკოპია, სისქემზომი კონტროლი); მასალის მექანიკური თვისებებისა და შემადგენლობის გამორკვევა; სიმტკიცესა და სიმკვრივეზე შემოწმებითი გათვლების შესრულება და გამოცდა დატვირთვით; გამოვლენილი დეფექტების ანალიზი, მათი მიზეზების დადგენა, განსაზღვრული პარამეტრების დაზუსტება. მზა ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, ბეტონის საკედლე ქვების, ბეტონის ფილების(ტორტუატებისათვის), სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვაზე, არამადნეული მასალების, მოსაპირკეთებელი და საგაზაო მასალების ხარისხის შემოწმება; ბეტონის ხარისხის შემოწმება ურღვევი მეთოდით; ბეტონში არმატურის დიამეტრისა და ბადურის განლაგების განსაზღვრა. ნივთის მფლობელის/ინსპექტირების ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, სხვადასხვა დანადგარ მოწყობილობების (მათი ცალკეული კომპონენტების) მწარმოებლის/დამამზადებლის მიერ დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობის გამოკვლევა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისა და გაცემის უზრუნველყოფა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;

ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება;

წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

საშიში ქიმიური ნივთიერებების შეფასებაში მონაწილეობა, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მოსახლეობის ინფორმირება იმ საშიშროების შესახებ, რომელსაც იწვევენ საშიში ქიმიური ნივთიერებები;

თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, საშიში გეოლოგიური მოვლენების პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა.

4.1 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროს მართვა

მდგრადი გარემოს დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი; საშიში (სტიქიური) გეოლოგიური პროცესების შესწავლა, პროგნოზირება და საინფორმაციო-საცნობარო მონაცემთა ბაზის შექმნა; საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

4.2 გარემოსდაცვითი პროგრამა

ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროს კონტროლი და ზედამხედველობა; გარემოს ინტერგრირებული მართვის ხელშეწყობა.

პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას, რომლებიც გამიზნულია ლოკალური გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებისათვის.

4.2.1 აჭარის სანაპირო ზოლის ჩამდინარე წყლებისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი

სანაპირო ზოლის დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერისა და წყლებზე ფაქტობრივი



ზემოქმედების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზღვის სანაპირო ზოლის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დამაბინძურებელი ობიექტების მონიტორინგი, ჩამდინარე წყლისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, მავნე ნივთიერებათა ჩაშვების მინიმუმაცია. მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე დროული რეაგირების მიზნით, შეგროვებული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემა.

4.2.2 აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე ზღვის წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი

აჭარის სანაპირო ზოლის სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე საბანაო წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზღვის სანაპირო ზოლის მონიტორინგი, ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ბაქტერიოლოგიური განსაზღვრა, მავნე ნივთიერებათა ჩაშვების მინიმუმაცია, მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე დროული რეაგირების მიზნით, შეგროვებული მასალების შესაბამის ორგანოებზე გადაცემა.

4.3 სატყეო სექტორის განვითარება

ტყის და ველური ბუნების დაცვა; ტყის აღდგენა/განახლება; გარემოს დაცვა.

რეგიონში მდგრადი ტყითსარგებლობის დანერგვა. ხე-ტყის მოპოვების პროცედურის გამარტივება, სოციალური ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფა და ტყის ფიზიკური დაცვის ღონისძიებების გატარება; ტყეების სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

4.3.1 სატყეო სექტორის მართვა და მომსახურება

რეგიონში მდგრადი ტყითსარგებლობის დანერგვა. ხე-ტყის მოპოვების პროცედურის გამარტივება, სოციალური ჭრებისათვის ტყეკაფების გამოყოფა და ტყის ფიზიკური დაცვის ღონისძიებების გამკაცრება; ტყეების სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ტყეების მართვის სტრატეგიის შემუშავება; ტყის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის მიზნით სანიტარულ-ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა-შეფასება, ტყეების გაჯანსაღების პროექტების განხორციელება; სუბალპური, მეჩხერი და დეგრადირებული ტყის უბნების აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; სოციალური ჭრების ტყეკაფების გამოყოფა; მონიტორინგი ტყეების ფიზიკურ დაცვასა და პროექტების შესრულების მიმდინარეობაზე.

4.3.2 ტყის მოვლა-აღდგენა

დეგრადირებული სუბალპური ტყის მასივების აღდგენა; ტყის მდგრადობის შენარჩუნება; მავნებლით დაავადებული ტყის ფართობების შემცირება.

დეგრადირებული სუბალპური ტყის მასივების აღდგენა ითვალისწინებს 100 ჰა ფართობის შემოღობვას და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობას; მავნებელი მბეჭდავი ქერქიჭამიის და კენწეროს ქერქიჭამიის საწინააღმდეგო ღონისძიების ფარგლებში მოხდება 2000 ჰა ფართობზე 6000 ერთეული ფერომონის განთავსება.

4.3.3 ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმომწეობა)

ტყის რესურსების მართვის, გამოყენების და აღდგენის სფეროს ინფორმაციული უზრუნველყოფა; ტყითსარგებლობის ეფექტური ორგანიზების მიზნით მონაცემთა ბაზის შექმნა; ტყის ფონდის დაცვის, განახლებისა და მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტყის ფონდის ტერიტორიების ტოპოგრაფიული რუკების, ფოტოგრაფიული სქემების, გეგმების მომზადება; ტყის კორომების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დადგენა (წარმოშობა, ჯიშების შედგენილობა, ფორმა, სიხშირე, ასაკი, ტყის ტიპი, ბონიტეტი) და სხვადასხვა კატეგორიულად დაყოფა; ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესებით გამოწვეული ტყის ცვლილებების ტენდენციის შეფასება.



5 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2015-2018 წლების სამუშაოვადიანი პრიორიტეტი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაა, რაც გულისხმობს ტურიზმისა და კურორტების სფეროში ეფექტური პოლიტიკის გატარებას და რეგიონის ტურიზმისა და კურორტების განვითარების ხელშეწყობას, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გამოვლენას, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებას და რეგიონის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო და შიდა ბაზარზე, ურთიერთთანამშრომლობითა და ინოვაციური ინიციატივებით პარტნიორებისა და დაინტერესებული პირების დახმარებას ხარისხის სტანდარტის ამაღლებაში.

5.1 ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ტურიზმისა და კურორტების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარება და დარგის საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება.

ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ტურიზმისა და კურორტების სფეროებში განსახორციელებელი პროგრამების შესრულების კოორდინაცია და მართვა.

რეგიონში დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემების მოგროვება და ანალიზი.

დარგის განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება დარგობრივი პოლიტიკის შემუშავების ან მასში ცვლილებების შეტანისათვის.

ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება.

5.1.1 ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვა

ქვეყანაში ტურიზმისა და კურორტების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ტურიზმისა და კურორტების სფეროებში განსახორციელებელი პროგრამების შესრულების კოორდინაცია და მართვა.

5.1.2 დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება

რეგიონში დარგის განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მონაცემების მოგროვება და ანალიზი.

სამიზნე და კონკურენტი ბაზრების კვლევა;

ტურისტების კმაყოფილების დონისა და მოთხოვნების კვლევა;

სტატისტიკური ანალიზი.

5.1.3 კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა

დარგის განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება დარგობრივი პოლიტიკის შემუშავების ან მასში ცვლილებების შეტანისათვის.

ტურიზმის დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს ინსტიტუციური და ფუნქციური გაძლიერება. ავტონომიის დონეზე ტურიზმის საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებთან აქტიური თანამშრომლობით ტურიზმის



განვითარების მიმართულებების განსაზღვრა და მომსახურების გაუმჯობესების რეკომენდაციების მომზადება.

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

დარგის წარმომადგენლებთან აქტიური კოორდინაციითა და თანამშრომლობით დარგის განვითარების საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება;

5.1.4 დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარება

ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება.

დეპარტამენტის თანამშრომელთათვის გადამზადების კურსების საშუალებით კვალიფიკაციის ამაღლება და დეპარტამენტის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება;

დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა.

დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება;

საერთაშორისო ტურისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანება;

საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება;

დეპარტამენტის პოზიტიური იმიჯის დამკვიდრება.

5.2 აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე

რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ბაზარზე;

პირდაპირი სარეკლამო კამპანიების წარმოება მიზნობრივ ბაზრებზე;

საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა;

სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება;

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება;

ონლაინ-მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება;

5.2.1 რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზარზე

სამიზნე ქვეყნებში რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი და რეკლამირება.

მიზნობრივ ბაზარზე პირდაპირი სარეკლამო კამპანიების წარმოება;

საერთაშორისო ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა და სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის გავრცელება;

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება; საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში, კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობა რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით.

5.2.2 რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით



შიდა მომხმარებლებზე გათვლილი მარკეტინგული და სარეკლამო კამპანიის წარმართვა.

სარეკლამო კამპანიების წარმოება, სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება და ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა ქვეყნის შიგნით;

სარეკლამო-საინფორმაციო ტურების ორგანიზება; სოციალური მედია-ინსტრუმენტების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით რეგიონის ონლაინ მარკეტინგი.

5.3 ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება

რეგიონის ტურისტული პროდუქტების განვითარება და მომსახურების ხარისხის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში მოხდება: რეგიონში არსებული ტურისტული პროდუქტების განვითარება და ახალი პროდუქტების შექმნა.

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის განვითარება და ტურიზმის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

5.3.1 სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა.

ტურისტული პროდუქტების და სერვისების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა.

სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა.

ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

ბათუმის ტურისტული სააგენტოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ტურისტული ცხელი ხაზის დანერგვა.

კომერციული სარეკლამო-საინფორმაციო მასალების დამზადება და გავრცელება.

ახალი და არსებული ტურისტული მარშრუტების/პროდუქტების დამუშავება, შემდგომში მათი რეალიზაციისა და ასევე კერძო სექტორისთვის მიწოდების მიზნით.

საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენა/ბაზრობებში მონაწილეობის მიღება ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით/ ახალი უცხოური კომპანიების შემოყვანა.

5.3.2 ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლება

ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის განვითარება და ტურიზმის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

რეგიონის ტურიზმის დარგის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მხრივ არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

სატელევიზიო არხებით რეგიონის ტურისტული პროდუქტებისა და ზოგადად ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ყოველკვარტალური საინფორმაციო გამოცემის დანერგვა ტურიზმის სფეროში სიახლეების, სტანდარტებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის (სასტუმროები, რესტორნები, სააგენტოები, სოფლად ტურიზმის ობიექტების მფლობელები).

5.3.3 ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა

ტურისტული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.



ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოსთან და რეგიონის ტურიზმის დარგის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით ტურისტული დანიშნულების ობიექტების მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.

ტურიზმის დეპარტამენტის ხარისხის ნიშნის შექმნა (ვიზუალი);

მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმების შესახებ შესაბამისი საინფორმაციო მასალის მომზადება/გავრცელება.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით და დეპარტამენტის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციით ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხარისხის ნიშნის („რეკომენდებულია ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ“) მინიჭება ტურისტული დანიშნულების ობიექტებისთვის.

მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება.

5.3.4 ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია

არსებული ტურისტული პროდუქტების განვითარება და ახალი პროდუქტების შექმნა.

ქვეპროგრამა მოიცავს არსებულის ტურისტული პროდუქტების განვითარებას და ახლის ეკო და სოფლად ტურისტული პროდუქტების შექმნას, ამ მიზნით სხვადასხვა სეზონური ღონისძიებების (კონფერენციების, ფესტივალების, გამოფენების, სემინარების) ორგანიზებას აჭარაში, ახალი ტურისტული მარშრუტების მარკირებას და მათი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას, ტურისტული ობიექტების ბაზის შექმნას და მუდმივ განახლებას.

5.4 რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა

მოსახლეობისა და დამსვენებელთა გაჯანსაღების, დასვენების ეფექტური პირობების უზრუნველყოფისათვის საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოება.

დასვენებისა და ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პირობების შექმნა.

საკურორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი გაფართოვება; საკურორტო ფაქტორთა დაცვა გაჭუჭყიანებისა და ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევისაგან; სანიტარული ნორმების დაცვა.

5.5 მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა

აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შერჩეული ბანკის მიერ სესხების გაცემა.

შერჩეული კომერციული ბანკი საკრედიტო რისკების გათვალისწინებით მოახდენს ტურისტული ბიზნესით დაკავებული მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების დაფინანსებას. ტურისტულ ბიზნესად ჩაითვლება საქმიანობა, რომელიც უკავშირდება აჭარის არ ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი კვების ობიექტის (კაფე, რესტორანი, ბისტრო, ბარი, სასადილო და სხვა), სასტუმროს (არაუმეტეს 50 ნომრიანი, მ.შ. საოჯახო ტიპის), გასართობი ობიექტის (ღამის კლუბი, დისკოთეკა, საბილიარდო, ბუნგალო და სხვა) მოწყობას (მშენებლობა, რეკონსტრუქცია, რემონტი) და სხვა ტურისტული საქმიანობას. საკრედიტო რესურსი განისაზღვრება 6 მლნ. ლარის ოდენობით, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15%-ს. სესხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 200 000 ლარით და სესხი გაიცემა არაუმეტეს 7 წლის ვადით. ბიზნეს სუბიექტი პირველი სამი წლის განმავლობაში გადაიხდის დადგენილი სესხის საპროცენტო განაკვეთის 3%-ს. ხოლო სხვაობა სუბიექტის მიერ ასანაზღაურებელ და დადგენილ საპროცენტო განაკვეთებს შორის - 12 % სამი წლის განმავლობაში ანაზღაურდება აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ბანკის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.

6 საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. 2005 წლიდან დღემდე ჩვენს რეგიონში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საავტომობილო გზების ნუსხიდან არაერთ საავტომობილო გზას და არხს



ჩაუტარდა რეაბილიტაცია, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ბევრი საავტომობილო გზა და სამელიორაციო სისტემა, რომელიც საჭიროებს აუცილებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს. შესაბამისად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნებისა და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით საჭიროა გზების კეთილმოწყობა, საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, რაც საზოგადოებისათვის ეკონომიკური აქტივობების გაზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის წინაპირობაა.

6.1 საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა

საავტომობილო გზების და სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ორგანიზება, მართვა, ტექნიკური ზედამხედველობა და კონტროლი.

6.2 საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, საგზაო კომუნიკაციების და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა, მოდერნიზაცია და განვითარება.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, სამელიორაციო სისტემების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის და შიდაქსელური არხების რეაბილიტაცია. ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ადმინისტრაციულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების შეკეთება-რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია და განვითარება.

7 ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო დებულების, დასახული პრიორიტეტის და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების და საპანსიონო მომსახურეობის სკოლების რეაბილიტაციას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ატარებს კონკურსებსა და ოლიმპიადებს, მონაწილეობს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში, აფინანსებს სტუდენტებს, ხელს უწყობს ახალ მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული განათლების ფორმირებას, სახელოვნებო განათლებას, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ახორციელებს კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავს რეგიონში კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას და გაუმჯობესებას.

7.1 განათლების მართვა, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს გამოავლინოს განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროებში პრობლემები და ნაკლოვანებები. პრობლემის აღმოსაფხვრელად დასახოს პრიორიტეტები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და პოპულარიზაციას.

7.2 განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობა.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

საინფორმაციო ბანკის შექმნა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ;



7.3 საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა

